ანა ნადირაშვილი

ფსიქოლოგიის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
LCC საერთაშორისო უნივერსიტეტი, ლიეტუვა

დღემდე მიჭირს იმის დაჯერება, რომ ჩემი საზღვარგარეთ სწავლის ოცნება ახდა და იმაზე ბევრად უკეთესი გამოცდილება იყო, ვიდრე ამას ოდესმე წარმოვიდგენდი. „ერასმუს+“ პროგრამაში მონაწილეობამ სრულიად თავდაყირა დააყენა ჩემი მსოფლმხედველობა და მრავალი გამოწვევის შედეგად მომცა საშუალება, საკუთარი თავი სხვადასხვა პერსპექტივით დამენახა. რაც ყველაზე მთავარია, ამ გამოცდილებამ უამრავი ღირებული ურთიერთობა შემძინა და გამიღრმავა ჩემი ფაკულტეტისადმი, ფსიქოლოგიისადმი, ინტერესი.

2025 წლის გაზაფხულის სემესტრი გავატარე კლაიპედაში, ლიეტუვაში. 4 თვის განმავლობაში ვსწავლობდი სიყვარულით სავსე უნივერსიტეტში საუკეთესო ადამიანების გარემოცვაში. სემესტრის მანძილზე მონაწილეობა მივიღე არაერთ საინტერესო პროექტსა თუ პრაქტიკულ დავალებაში, ასევე ჩავატარე ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული კვლევა, რამაც შესაძლებლობა მომცა, საინტერესო ადამიანებთან ერთად მემუშავა ჩემთვის მნიშვნელოვან თემებზე.

აკადემიური კუთხით განვითარების გარდა, გავხდი მეტად დამოუკიდებელი, თავგადასავლების მოყვარული, მეტად ვირწმუნე საკუთარი თავისა და შესაძლებლობების. ვიმოგზაურე 8 ქვეყანაში, გავეცანი ახალ კულტურებს და გავატარე დაუვიწყარი დღეები. ევროპაში ცხოვრების გამოცდილებამ დამარწმუნა, თუ როგორი ღირებულებებით მსურს ცხოვრება.

ყოველთვის მადლიერი ვიქნები ამ გამოცდილების, ვთვლი, რომ საუკეთესო გადაწყვეტილება იყო, რაც აქამდე მიმიღია. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობამ დამარწმუნა, რომ ყველაზე კარგი მოგონებები მაშინ იქმნება, როცა იმას ვაკეთებთ, რისიც ყველაზე მეტად გვეშინია. მადლობა კავკასიის უნივერსიტეტს, რომ დამეხმარა მქონოდა საკუთარი თავის აღმოჩენის ბედნიერება!